2008 წ. 6 ივნისი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ბროსეს 8“-ს

დაფუძნების შესახებ

მუხლი 1. ამხანაგობის სახელწოდება და სტატუსი

(1) ამხანაგობის სრული სახელწოდებაა „ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ბროსეს 8“ (შემდგომში – “ამხანაგობა”).

(2) ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსებული იქნება მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №6-სა და №8-ს შორის.

(3) ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამხანაგობის სამოქმედო დებულებას, რომელიც: საგალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის ყველა მონაწილისათვის (წევრისათვის) და განსაზღვრავს ამხანაგობის დამფუძნებელთა (წევრთა) ერთობლივი საქმიანობის სახეობასა და მიზანს, მის ხანგრძლივობას, მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების, ამხანაგობიდან გასვლისა და ამხანაგობაში წილის გადაცემის წესს, ამხანაგობის მართვის სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ფუნქციებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

(4) ამხანაგობა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე პირთა გაერთიანების შედეგად შექმნილ ორგანიზაციულ წარმონაქმნს. ამხანაგობა არ არის ღირებული პირი და იგი მიზნად არ ისახავს სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის გზით მოგების მიღებას. ამხანაგობა შექმნილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული მიზნით.

(5) ამხანაგობა საბანკო დაწესებულებებში გახსნის საბანკო ანგარიშებს, მათ შორის, სავალუტო ანგარიშს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ამხანაგობის დამფუძნებლები

წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დღისათვის ამხანაგობის დამფუძნებლები არიან:

ა) **სკოტ ალექსანდერ სარანი** დაბადებული 1963 წლის 14 თებერვალს აშშ, კალიფორნიაში, მცხოვრები აშშ, კალიფორნია 94131, ქ. სანფრანცისკო სტრელინგის გამზ. 61,. პასპორტის № 211666223 გაცემულია 14.09.2004.

ბ) **DENALI HOLDINGS CORP**-ის სახელით **ლევან მაჭავარიანი**, დაბადებული 08.06.1970 ქ. თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის №8, პირადობის მოწმობის № გ0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ. თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ.

გ) **BRUNGGES FINANCIAL INC.**-ის სახელით **ლევან მაჭავარიანი** დაბადებული 08.06.1970 ქ.თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის № 8, პირადობის მოწმობის № გ 0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ. თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ.

ე) გიორგი თაბაგარი დაბადებული 08.04.1977 წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №3, პირადობის მოწმობის №ბ0941557, პირადი №01024002934 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდის სამსახურის მიერ 11.07.2006წ.

ვ) გიორგი შანჩულიძე დაბადებული 22.06.1962წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ასათიანის №14, პირადობის მოწმობის №დ0087923, პირადი №01024011275 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. განყოფილების მიერ 5.12.1995წ.

ზ) ძეთევან გაბუნია დაბადებული 15.12.1970წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, პასპორტი 07 71712, პირადი №65007000309 გაცემული 21.01.2008წ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. ვაშინგტონი, აშშ.

თ) დავით ონოფრიშვილი დაბადებული 1961 წლის 8 იანვარს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბროლოსანის №31, ბ. 17, პირადობის მოწმობა №გ 0067994, პირადი № 01024007760, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს განყოფილების მიერ 16.08.1995წ.

ი) მერაბ ჟუთათელაძე დაბადებული 10.12.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყიფიანის ქ. №29, პირადობის მოწმობის №დ1034221, პირადი №01008019828 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 07.02.2007წ.

კ) გოჩა ჯაფარიძე დაბადებული 01.06.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ №29, ბინა 120, პირადობის მოწმობის №ბ0084268, პირადი №01026002975 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილების მიერ 21.10.1995წ.

ლ) ნიკოლოზ ჩუბინიშვილი დაბადებული 22.01.1964წ. ქ.თბილისი, მცხოვრები: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, ჩიხი 4, ბინა 8, პირადობის მოწმობის №გ 0334828, პირადი №0101500659 გაცემული 23.02.2002წ თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს მე-2 განყოფილების მიერ.

მ) გიორგი გაბუნია დაბადებული 1969 წლის 22 მარტს საქართველოში, მცხოვრები ამერიკაში აშშ-ი, ნიუ-იორკის შტატი, ქ. დუმონტი, მაფლის ქ. 114. პასპორტის № 112402984 გაცემულია ქ, ნიუ-იორკში 17.05.2001 წელი.

მუხლი 3. ამხანაგობის მიზანი და საქმიანობის საგანი

(1) ამხანაგობის დამფუძნებელთა მიზანია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში მრავალბინიანი საცხოვრებელი და საოფისე სახლის (შენობის) (შემდგომში – „სახლი") მშენებლობა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნა, აგრეთვე აშენებული ფართების განაწილება ამხანაგობის მონაწილეებს (წევრებს) შორის.

(2) სახლი უნდა აშენდეს ქ. თბილისში ბროსეს ქ. №6-სა და №8-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

(3) ამ მუხლით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, ამხანაგობა:

ა) ორგანიზებას უკეთებს სახლის დაპროექტებას და მშენებლობას;

ბ) ამზადებს სამშენებლო დოკუმენტაციას, ახორციელებს შესაბამის კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებთან მათ შეთანხმებას და სათანადო ნებართვების მოპოვებას;

გ) წარმართავს მშენებლობის პროცესს;

დ) ახორციელებს ნებისმიერ ისეთ საქმიანობას, რაც ამ ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს და

ემსახურება ამხანაგობის მიზნებს და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

(4) საქმიანობას ამხანაგობის სახელით ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე.

(5) სახლის დეტალური პარამეტრები, ფართების სახეობა, საცხოვრებელი ბინების რაოდენობა, თითოეული ბინისა და თუ სხვა ფუნქციური დანიშნულების შენობების ფართები და სხვა მახასიათებლები დგინდება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებული და მათ მიერ დამტკიცებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. დამფუძნებელთა შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები

(1) დამფუძნებელთა შენატანების საერთო რაოდენობა ამხანაგობაში შეადგენს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარს ექვივალენტით ლარში და განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) **სკოტ ალექსანდერ სარანი** დაბადებული 1963 წლის 14 აშშ კალიფორნიაში, მცხოვრები აშშ, კალიფორნია 94131, ქ. სანფრანცისკო სტილინგის გამზ. 61,. პასპორტის № 211666223 გაცემულია 14.09.2004. ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 600,000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

ბ) **BRUNGGES FINANCIAL INC**.- ის სახელით **ლევან მაჭავარიანი**, დაბადებული 08.06.1970 ქ.თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის №8, პირადობის მოწმობის № გ0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ.თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ. ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

გ) **DENALI HOLDINGS CORP.** –ის წამომადგენელი **ლევან მაჭავარიანი** , დაბადებული 08.06.1970 ქ.თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის №8, პირადობის მოწმობის № გ 0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ. თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ. ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

დ) **გიორგი შანჩულიძე** დაბადებული 22.06.1962წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ასათიანის №14, პირადობის მოწმობის №დ0087923, პირადი №01024011275 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. განყოფილების მიერ 5.12.1995წ, ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

ე) **ჟეთევან ბაბუნია** დაბადებული 15.12.1970წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, პასპორტი 07 71712, პირადი №65007000309 გაცემული 21.01.2008წ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. ვაშინგტონი, აშშ. ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

ვ) **მერაბ ჟუთაშელაძე** დაბადებული 10.12.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყიფიანის ქ. №29, პირადობის მოწმობის №დ1034221, პირადი №01008019828 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 07.02.2007წ, ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

ზ) **გოჩა ჯაფარიძე** დაბადებული 01.06.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ №29, ბინა 120, პირადობის მოწმობის №№00084268, პირადი №01026002975 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილების მიერ 21.10.1995წ, ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

თ) **ნიკოლოზ ჩუბინიშვილი** დაბადებული 22.01.1964წ. ქ.თბილისი, მცხოვრები: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, ჩიხი 4, ბინა 8, პირადობის მოწმობის №გ 0334828, პირადი №01015006659 გაცემული 23.02.2002წ თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს მე-2 განყოფილების მიერ. ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 200,000 (ორსი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

ი) **გიორგი გაბუნია** დაბადებული 1969 წლის 22 მარტს საქართველოში, მცხოვრები აშშ-ი, ნიუ-იორკის შტატი, ქ. დუმონტი, მაფლის ქ. 14 პასპორტის № 112402984 გაცემულია ქ. ნიუ-იორკში 17.05.2001 წელი. ამხანაგობაში შეაქვს ფულადი სახსრები 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით ლარში);

კ) **გიორგი თაბაგარის** დაბადებული 08.04.1977 წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №3, პირადობის მოწმობის №გ0941557, პირადი №01024002934 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდის სამსახურის მიერ 11.07.2006წ., და **დავით ონოფრიშვილის** დაბადებული 1961 წლის 8 იანვარს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბროლოსანის №31, ბ. 17, პირადობის მოწმობა №გ 0067994, პირადი № 01024007760, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს განყოფილების მიერ 16.08.1995წ. შენატანს კი წარმოადგენს მათ საკუთრებაში არსებული, 742 000 (შვიდას ორმოცდაორი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი), მდებარე ბროსეს ქ. №6-სა და №8-ს შორის შემდგომი მახასიათებლებით:

- სარეგისტრაციო ზონა: თბილისი, კოდი: 01;
- სექტორი: მთაწმინდა, კოდი: 15;
- კვარტლის № 04, ნაკვეთის № 05/031;
- მისამართი: ბროსეს ქუჩა №6-სა და №8-ს შორის;
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
- დაზუსტებული ფართობი: 742.00 კვ.მ.
- ნაკვეთის წინა ნომერი: 5;

მესაკუთრე: გიორგი თაბაგარი და დავით ონოფრიშვილი

ასევე მათ შენატანს წარმოადგენს 258,000 (ორას ორმოცდათვრამეტი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი ან ფულადი შენატანი.

(2) წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დღისათვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შენატანი – უძრავი ქონება წარმოადგენს გიორგი თაბაგარისა და დავით ონოფრიშვილის საკუთრებას, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 03.10.2007წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/15/04/05/031, განაცხადის რეგისტრაციის № 012007157002 თარიღი – 28/09/2007;

(3) შენატანი არ არის ყადაღადადებული. შენატანი არ არის დატვირთული იპოთეკით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

(4) გიორგი თაბაგარი და დავით ონოფრიშვილი ადასტურებენ რომ:

ა) ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მიწის ნაკვეთი არ არის გადაცემული მესამე პირისათვის სარგებლობის უფლებით;

ბ) არ არსებობს მესამე პირი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს რაიმე სახის სამართლებრივად დასაბუთებული პრეტენზია მიწის ნაკვეთის მიმართ;

გ) მათთვის უცნობია საჯარო რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე მესამე პირის სახივრის ან სარჩელის არსებობის შესახებ.

(5) ამხანაგობის დამფუძნებელთა ფულადი შენატანი განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო კურსით.

(6) ამხანაგობის დამფუძნებელთა შენატანები ხდება ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრება ამხანაგობაში მათი წილთა პროპორციის შესაბამისად და მოხმარდება მხოლოდ ამხანაგობის საერთო მიზნის განხორციელებას. საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების დაღუპვის (განადგურების) შემთხვევაში.

(7) ამხანაგობის დამფუძნებლის შენატანის ოდენობა, რაც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით, დაუშვებელია გაიზარდოს მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 5. ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების გადანაწილების წესი

(1) „ამხანაგობის" დამფუძნებელთა წილები და ამხანაგობის მიერ აშენებულ სახლში მისაღები უძრავი ქონება, გადანაწილდება შედმეგნაირად:

ა) **სკოტ ალექსანდრე სარანი** დაბადებული 1963 წლის 14 აშშ კალიფორნიაში, მცხოვრები აშშ, კალიფორნია 94131, ქ. სანფრანცისკო სტილინგის გამზ. 61,. პასპორტის № 211666223 გაცემულია 14.09.2004წ. – საერთო ფართის 24% (ოცდაოთხმეტი პროცენტი);

ბ) **DENALI HOLDINGS CORP** -ის სახელით- **ლევან მაჭავარიანი** დაბადებული 08.06.1970 ქ.თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის №8, პირადობის მოწმობის № გ0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ.თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ. – საერთო ფართის 4% (ოთხი პროცენტი);

გ) **BRUNGGES FINANCIAL INC** –ის სახელით - **ლევან მაჭავარიანი**, დაბადებული 08.06.1970 ქ.თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის №8, პირადობის მოწმობის №გ 0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ. თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ. – საერთო ფართის 4% (ოთხი პროცენტი);

დ) **გიორგი თაბაგარი** დაბადებული 08.04.1977 წ. ქ. თბილისში, მცხოვრები: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №3, პირადობის მოწმობის №ბ0941557, პირადი №01024002934 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდის სამსახურის მიერ 11.07.2006წ. – საერთო ფართის 10% (ათი პროცენტი);

ე) **გიორგი ფანჩულიძე** დაბადებული 22.06.1962წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ასათიანის №14, პირადობის მოწმობის №დ0087923, პირადი

№01024011275 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. განყოფილების მიერ 5.12.1995წ – საერთო ფართის 4% (ოთხი პროცენტი);

ვ) **ძმოშვან ბაბუნია** დაბადებული 15.12.1970წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, პასპორტი 07 71712, პირადი №65007000309 გაცემული 21.01.2008წ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. ვაშინგტონი, აშშ – საერთო ფართის 2% (ოთხი პროცენტი);

ზ) **დავით ონოფრიშვილი** დაბადებული 1961 წლის 8 იანვარს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბროლოსანის №31, ბ. 17, პირადობის მოწმობა №გ 0067994, პირადი № 01024007760, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს განყოფილების მიერ 16.08.1995წ. – საერთო ფართის 30% (ოცდაათი პროცენტი);

თ) **მერაბ ჟუთათელაძე** დაბადებული 10.12.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყიფიანის ქ. №29, პირადობის მოწმობის №დ1034221, პირადი №01008019828 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 07.02.2007წ. – საერთო ფართის 4% (ოთხი პროცენტი);

ი) **გოჩა ჯაფარიძე** დაბადებული 01.06.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ №29, ბინა 120, პირადობის მოწმობის №ბ0084268. პირადი №01026002975 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილების მიერ 21.10.1995წ. – საერთო ფართის 8% (რვა პროცენტი);

კ) **ნიკოლოზ ჩუბინიშვილი** დაბადებული 22.01.1964წ. ქ .თბილისი, მცხოვრები: ქთბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, ხიხი4, ბინა 8, პირადობის მოწმობის №გ 0334828, პირადი №0101500659 გაცემული 23.02.2002წ თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს მე-2 განყოფილების მიერ. საერთო ფართის 8% (რვა პროცენტი).

ლ) **გიორგი ბაბუნია** დაბადებული 1969 წლის 22 მარტს საქართველოში, მცხოვრები ამერიკაში აშშ-ი, ნიუ-იორკის შტატი, ქ. დუმონტი, მაფლის ქ. 114. პასპორტის № 112402984 გაცემულია ქ. ნიუ-იორკში 17.05.2001 წელი. საერთო ფართის 2% (ორი პროცენტი);

(2) საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ, მიწის ნაკვეთი, რომელზედაც აშენდება სახლი, აგრეთვე საერთო სარგებლობის ფართები (სადარბაზო, სახურავი) იქნება სახლის ბინის (სხვა ფართების) მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში, ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

(3) ამხანაგობის ზიანი ამხანაგობის წევრებს შორის ნაწილდება მათი წილის პროპორციულად.

მუხლი 6. მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი.

(1) თითოეულ წევრს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება მათ შორის ბინის-ფართის მიღების სამომავლო უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს ან უფლებრივად (გირაო-იპოთეკა და სხვა.) დატვირთოს იგი ამხანაგობის წევრთა საერთო კრების თანხმობით.
წილის განსხვისება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას და საჯარო რეესტრში აღრიცხვას. წილი მყიდველზე გადადის იმ მდგომარეობაში და იმ უფლება-მოვალეობებით რაც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა.

(2) წილის გაყიდვის შემთხვევაში ამხანაგობის წევრებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

მუხლი 7. ამხანაგობის მმართველი ორგანოები. საერთო კრება

(1) "ამხანაგობის" მართვის ორგანოებია: ა) "ამხანაგობის" წევრთა საერთო კრება და ბ) ამხანაგობის თავმჯდომარე.

(2) ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (შემდგომში - „საერთო კრება") არის "ამხანაგობის" მართვის უმაღლესი ორგანო, რომელშიც შედიან ამხანაგობის წევრები (დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული წევრები).

(3) საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, ამხანაგობის თავმჯდომარის ან ამხანაგობის წევრთა სულ ცოტა 1/3 -ის წერილობითი მოთხოვნით, კონკრეტული წარმოქმნილ საკითხთა გადასაწყვეტად. კრებას იწვევს და ხელმძღვანელობს ამხანაგობის თავმჯდომარე დღის წესრიგის საფალდებულო მითითებით. საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ამხანაგობის ოფისში (ბროსეს ქ. №6-სა და №8-ს შორის) მის გამართვამდე არაუგვიანეს 3 (სამი) დღით ადრე, შესაბამისი დღის წესრიგის, საერთო კრების ჩატარების ადგილისა და ზუსტი დროის მითითებით ან ინდივიდუალურად ეცნობოს ამხანაგობის წევრს საერთო კრების მოწვევის შესახებ.

(4) საერთო კრებაზე თითოეული წევრი სარგებლობს მისი კუთვნილი წილის შესაბამისი ხმების რაოდენობით.

(5) საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია 50%-ზე მეტი წილის მფლობელი წევრები. საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. კრებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე.

(6) საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) "ამხანაგობის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

გ) "ამხანაგობის" წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

დ) ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გათავისუფლება, მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება;

ე) ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ვ) მიღებული შემოსავლების განაწილება;

ზ) ამხანაგობის თავმჯდომარისათვის კრედიტის აღებაზე და შესაბამისად ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებული ქონებით ვალდებულებების უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირავნობა და სხვა) განხორციელებაზე თანხმობის მიცემა, თუ კრედიტის რაოდენობა (გარიგების ღირებულება) აღემატება 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარს (ექვივალენტით ლარში)

თ) "ამხანაგობის" სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ შედის ამხანაგობის თავმჯდომარის კომპეტენციაში.

მუხლი 8. ამხანაგობის თავმჯდომარე

(1) ამხანაგობის თავმჯდომარე (შემდგომ ტექსტში - „თავმჯდომარე") შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც, აირჩევა ამხანაგობის არსებობის ვადით. თავმჯდომარე არის ამხანაგობის ხელმძღვანელი და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, სასამართლოსა და საბანკო დაწესებულებებში, გახსნას საბანკო ანგარიშები და განკარგოს ანგარიშებზე რიცხული თანხები, ხელი მოაწეროს ერთობლივ საქმიანობასთან (ამხანაგობასთან) დაკავშირებულ ყველა საფინანსო დოკუმენტს.

(2) ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია:

- განახორციელოს ამხანაგობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა;
- მოიწვიოს საერთო კრება;
- უზრუნველყოს განაწილებული ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ორგანიზება;
- ამხანაგობის სახელით დადოს გარიგებები და გააფორმოს ხელშეკრულებები;
- განახორციელოს ამხანაგობის მიერ კრედიტის (სესხის) აღება და ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებული ქონებით ვალდებულებების უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირავნობა და სხვა) განხორციელება, თუ კრედიტის (გარიგების დირებულების) რაოდენობა არ აღემატება 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარს;
- "ამხანაგობის" საფინანსო საქმიანობის წარმართვაზე ზედამხედველობა;
- ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ;
- "ამხანაგობის" ახალი წევრების მიღების ორგანიზაცია;
- სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია "ამხანაგობის" ყოველდღიურ საქმიანობასთან.

(3) ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება ენიჭება ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე, ოღონდ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ ამხანაგობის დამფუძნებელთა (მათი უფლებამონაცვლეების) ერთხმად გაცემული წერილობითი თანხმობით, ამხანაგობის სახელით დადოს შემდეგი გარიგებები:

ა) ამხანაგობის ქონების მესამე პირთა ვალდებულებების უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება;

გ) ექსპლუატაციაში ჯერ კიდევ მიუღებელ საცხოვრებელ სახლში იმ ბინებსა და ფართებზე უფლებების გასხვისება, რომელიც იქნება ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრება. ეს წესი არ ეხება უფლებას იმ ბინებზე (ფართებზე), რომლებიც ბინების განაწილების შემდეგ იქნება დამფუძნებელთა ინდივიდუალურ საკუთრებაში და რომელიც წინასწარი ჩანაწერით რეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში.

(4) ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

(5) ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

(6) ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებაც მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა წევრებს.

(7) ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება ამხანაგობის დამფუძნებელთა ხმათა უმრავლესობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. საერთო კრებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის და/ან ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევის შესახებ, ოქმს ადგენს ნოტარიუსი. კრების ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს საერთო კრება. დასაშვებია ოქმზე კრების სხვა მონაწილეთა ხელმოწერებიც. თუ რაიმე მიზეზით კრების თავმჯდომარე არ აწერს ხელს კრების ოქმს, ამის შესახებ ნოტარიუსი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმს ხელი უნდა მოაწეროს კრების ერთმა მონაწილემ მაინც.

(8) ამხანაგობის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით თავმჯდომარედ არჩეული იქნა *გიორგი თაბაგარი (დაბადებული 08.04.1977 წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №3, პირადობის მოწმობის №30941557, პირადი №01024002934 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდის სამსახურის მიერ 11.07.2006წ.).*

მუხლი 9. ამხანაგობის ვადა

(1) ამხანაგობა შექმნილია სახლის აშენების ვადით.

(2) ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი (მონაწილე);

ბ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

(3) ამხანაგობის უფლებამოსილება წყდება აგრეთვე ამ ხელშეკრულების შესაბამისად აშენებული და ექსპლოატაციაში მიღებული შენობა-ნაგებობების მიმართ, რომლებიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულნი იქნებიან ამდაგვარად. ამ შენობა-ნაგებობათა მესაკუთრენი შემდგომში შექმნიან ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

(4) ამხანაგობის წევრის (მონაწილის) უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება, ლიკვიდაცია) მის ადგილს იკავებს მემკვიდრე (უფლებამონაცვლე).

(5) ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე.

მუხლი 10. ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა

(1) იმ შემთხვევაში თუ ამხანაგობის წევრის მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალები და ამხანაგობის მიერ წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის ვადაში არ შეასრულებს მის ვალდებულებას, საერთო კრებას ხმათა უმრავლესობით შეუძლია გარიცხოს ამხანაგობის წევრი. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის გარიცხულ წევრს უბრუნდება მის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული შენატანის მხოლოდ ოთხი მეხუთედი.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

(1) წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

(2) წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ამასთან, თუ ცვლილება თავისი შინაარსის გამო ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

(3) თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა მხარეთა მიერ დასახული მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ ამ ხელშეკრულებას აქვს ხარვეზები. მხარეები იღებენ ურთიერთვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად იმოქმედებენ რათა უმოკლეს ვადაში აღადგინონ გაბათილებული ან ხარვეზის შემცველი დებულებების თავდაპირველი აზრი.

(4) ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით და კონსენსუსის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(5) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 7 თანაბარძნიშნელოვან ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:

სკოტ ალექსანდერ სარანი

DENALI HOLDINGS CORP. სახელით
ლევან მაჭავარიანი

BRUNGGES FINANCIAL INC.სახელით
ლევან მაჭავარიანი

გიორგი თაბაბარი

გიორგი ფანჩულიძე

ძმითვან გაბუნია

დავით ონოფრიშვილი

მურად ჭუთათელაძე

გოჩა ჯაფარიძე

ნიკოლოზ ჩუბინიშვილი

გიორგი გაბუნიას სახელით
გიორგი თაბაბარი

სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში №

ორიათას რვა წლის ექვსი ივნისს მე, ნოტარიუსს პაპუნა შენგელაიას /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, პეკინის ქუჩა №28/ მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა:

სკოტ ალექსანდერ სარანმა (დაბადებული 1963 წლის 14 თებერვალს აშშ, კალიფორნიაში, მცხოვრები აშშ, კალიფორნია 94131, ქ. სანფრანცისკო სტილინგის გამზ. 61., პასპორტის № 211666223 გაცემულია 14.09.2004.)

DENALI HOLDINGS CORP-ის წარმომადგენელმა ლევან მაჭავარიანმა (დაბადებული ქ. თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის №8, პირადობის მოწმობის № გ0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ. თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ.), რომელმაც თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა მინდობილობა დამოწმებული ლუგანოს საჯარო ნოტარიუსის მარიო ბარადორის მიერ 03.04.2008წ. №3697.

BRUNGGES FINANCIAL INC-ის წარმომადგენელმა ლევან მაჭავარიანმა (დაბადებული ქ.თბილისი, მცხოვრები ქ.თბილისი, შანიძის № 8, პირადობის მოწმობის № გ 0090593, პირადი № 01018002304 გაცემული ქ. თბილისი მთაწმინდის რ/ნის შს I-ის ქვეგანყოფილების მიერ 01.11.1995წ.) რომელმაც თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა მინდობილობა დამოწმებული ლუგანოს საჯარო ნოტარიუსის მარიო ბარადორის მიერ 03.04.2008წ. №3696.

გიორგი თაბაგარმა (დაბადებული 08.04.1977 წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №3, პირადობის მოწმობის №ბ0941557, პირადი №01024002934 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდის სამსახურის მიერ 11.07.2006წ.)

გიორგი ფანჩულიძემ (დაბადებული 22.06.1962წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ახათიანის №14, პირადობის მოწმობის №დ0087923, პირადი №01024011275 გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. განყოფილების მიერ 5.12.1995წ.)

ქეთევან გაბუნიამ (დაბადებული 15.12.1970წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, პასპორტი 07AE71712, პირადი №65007000309 გაცემული 21.01.2008წ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. ვაშინგტონი, აშშ.)

დავით ონოფრიშვილმა (დაბადებული 1961 წლის 8 იანვარს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბროლოსანის №31, ბ. 17, პირადობის მოწმობა №გ 0067994, პირადი № 01024007760, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს განყოფილების მიერ 16.08.1995წ.)

მერაბ ქუთათელაძემ (დაბადებული 10.12.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყიფიანის ქ. №29, პირადობის მოწმობის №დ1034221, პირადი №01008019828 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 07.02.2007წ.)

გოჩა ჯაფარიძემ (დაბადებული 01.06.1961წ. ქ. თბილისი, მცხოვრები: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ №29, ბინა 120, პირადობის მოწმობის

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

80468818054417

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170012060

რეგისტრაციის თარიღი

06.01.2017 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის ექვს იანვარს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10 მომმართა საქართველოს მოქალაქემ გიორგი სამსონიამ (დაბ: 18.02.1961 წელს, პირადი # 01022002076, მისამართი: თბილისი დოესის ქ. N 72) რომელმაც განაცხადა, რომ სურს თინათინ ცოფურაშვილის (დაბ: 14.11.1989 წელს, პირადი # 01024062927, მისამართი; თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 5 ბ. 45) მიმართ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის და სსგს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი რომ ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მიმნდობი პირის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ჩვიდმეტი წლის ექვს იანვარს მე, გიორგი სამსონია (დაბ: 18.02.1961 წელს, პირადი # 01022002076, მისამართი: თბილისი დოესის ქ. N 72) ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ თინათინ ცოფურაშვილის (დაბ: 14.11.1989 წელს, პირადი # 01024062927, მისამართი; თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 5 ბ. 45) რათა მან წარმოადგინოს ჩემი ინტერესები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, წარმოადგინოს ჩემი როგორც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ბროსე 8"-ის დირექტორის ინტერესები საბჭოების სხდომაზე, მიიღოს ინფორმაცია, წარადგინოს და მიიღოს დოკუმენტები, აწარმოოს ელექტრონული რეგისტრაცია, ატვირთოს/მიიღოს დოკუმენტები ელექტრონულად და შეასრულოს ნებისმიერი საქმიანობა მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.
მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო არქივში.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 13 (ცამეტი) ლარი და 80 (ოთხმოცი) თეთრი დღგ-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების (29.12.2011წელი) "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე, 39-ე მუხლის 13 და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე.

მინდობილობის გამცემი: ---------გიორგი სამსონია---------

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

